2024 წელს მიღებული გრანტები

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ გაცემული ფულადი გრანტი

2024 წელს, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“-გან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გრანტის სახით ჩაერიცხა - 1 406 800,00 აშშ დოლარი (3 736 742,16 ლარი). აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისთვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტის და ოპერირების დაფინანსებისთვის. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 4 378 491,51 ლარს.

საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ზღვისიქითა ტერიტორიების სამინისტროს მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„საქართველოს ვიცე–პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ“ 2019 წლის 10 მაისის ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველზე, საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ზღვისიქითა ტერიტორიების სამინისტროს მიერ, 2024 წელს, გრანტის სახით ჩარიცხულ იქნა - 32 220,00 ევრო (94 322,67 ლარი).